

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის
შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოში არასრულწლოვანი პირების თავისუფალი წვდომა პიროტექნიკურ ნაკეთობებზე, რაც საფრთხის შემცველია მათი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის.

პიროტექნიკურ ნაკეთობებზე არასრულწლოვანთა თავისუფალი წვდომის საფრთხე არაერთხელ დადასტურდა სადღესასწაულო დღეებში პიროტექნიკური ნაკეთობების აფეთქების ან აალების შედეგად არასრულწლოვანების მიერ მიღებული სხეულის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანების ფაქტებით. 2018 წლის იანვარში თბილისში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში პიროტექნიკით გამოწვეული ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზებული იყო 44 ადამიანი, მათ შორის 24 არასრულწლოვანი. 2017 წელის დასაწყისშიც პიროტექნიკის გამოყენების შედეგად 54 ადამიანი დაშავდა.

კანონპროექტზე მუშაობის პროცესში შესწავლილ იქნება საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც არეგულირებს პიროტექნიკური ნაკეთობების მარკირებისა თუ გაყიდვის წესს.

საერთაშორისო გამოცდილებით, პიროტექნიკური საშუალებები იყოფა ფეიერვერკებად, თეატრალურ/სასცენო პიროტექნიკურ საშუალებებად და პიროტექნიკურ საშუალებებად, რომელიც არ მიეკუთვნება ფეიერვერკს ან თეატრალურ/სასცენო პიროტექნიკას.

სხვადასხვა ქვეყნის რეგულაციები აწესრიგებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა პიროტექნიკის პროდუქციის ბაზარზე ხელმისაწვდომობა, მწარმოებლის, იმპორტიორისა და დისტრიბუტორის უფლება-მოვალეობები, მარკირებასა და შეფასება და ა.შ.

მაგალითად დიდ ბრიტანეთში პიროტექნიკური ნაკეთობების მიყიდვა 18 წლამდე პირებისთვის იკრძალება. პიროტექნიკური ნაწარმის გაყიდვის, ფლობისა და გამოყენების წესის დარღვევა ისჯება კანონით, ჯარიმა შეადგენს 5000-მდე ბრიტანულ გირვანქა სტერლინგს, ან თავისუფლების აღკვეთით 6 თვის ვადით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 18 წლამდე პირთათვის სამომხმარებლო ფეიერვერკის მიყიდვა ან გაცემა აკრძალულია ფედერალური კანონით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვანი დასაქმებულია სამომხმარებლო პიროტექნიკის რეალიზაციის ობიექტზე და მას ზედამხედველობას უწევს ობიექტის სრულწლოვანი თანამშრომელი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საკანონმდებლო რეგულირებას მოითხოვს არის პიროტექნიკური ნაკეთობების შექმნაზე ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზაშეწონილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ იქნეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვანზე მიყიდვისათვის.

საქართველოს კანონმდებლობაში პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები ასახულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის 77²-ე მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებისათვის. ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 244-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ფეთქებადი, ადვილად აალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაკეთობის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების ან გადაგზავნის წესების დარღვევისათვის. 2015 წლის 23 ივლისის საქართველოს მთავრობის N370 დადგენილებით დამტკიცდა „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, რომლითაც განსაზღვრულია პიროტექნიკური ნაკეთობების შენახვის, გამოყენებისა და რეალიზაციის წესები. დაბოლოს, საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 27 ივნისს მიიღო კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას სახანძრო

უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის ან შეუსრულებლობისათვის.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიზანია არასრულწლოვანი პირებისათვის პიროტექნიკური ნაკეთობების მიყიდვისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატოს 156¹ მუხლი, რომლითაც პიროტექნიკური ნაკეთობის არსრულწლოვანისათვის მიყიდვა გამოიწვევს დაჯარიმებას ფიზიკური პირისა 100 ლარით, ხოლო იურიდიული პირისა 200 ლარით. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენისათვის ფიზიკური პირი დაჯარიმდება 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირი 400 ლარით.

კანონპროექტის მიხედვით 156¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს და საქმეებს იხილავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების წყაროა შესაბამისი მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ასიგნებები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღების შედეგად შესაძლოა გაიზარდოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევების რაოდენობასა და შესაბამისი ჯარიმის ოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახურის (ზედამხედველობის სამსახურის) ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ და დაფინანსდება შესაბამისი მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება წარმოშობს შედეგს იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, რადგან კანონპროექტით დგინდება ჯარიმა მათ მიერ პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვანისათვის მიყიდვის შემთხვევებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით ხდება პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვანისათვის მიყიდვის შემთხვევებში ჯარიმის სახით შესაბამისი გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა და ასევე დგინდება შესაბამისი სამართალდარღვევების შემთხვევები. კერძოდ:

პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვანისათვის მიყიდვა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარით, ხოლო იურიდიული პირისა 200 ლარით, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირისა 400 ლარით“.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. კანონპროექტი არ უკავშირდება ასეთ ხელშეკრულებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს

შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავების პროცესში კონსულტაციები გაიმართა სახელმწიფო უწყებებთან - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილ პირებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი მარიამ ჯაში, სიმონ ნოზაძე, რევაზ არველაძე, გურამ მაჭარაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, ენძელა მაჭავარიანი, სვეტლანა კუდბა, რატი იონათამიშვილი, ზაზა გაბუნია

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრი მარიამ ჯაში, სიმონ ნოზაძე, რევაზ არველაძე, გურამ მაჭარაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, ენძელა მაჭავარიანი, სვეტლანა კუდბა, რატი იონათამიშვილი, ზაზა გაბუნია